Environment and Society, No. 6, December, 2022, pp.101-127

უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების რეპრეზენტაცია 1917-1918 წლების გაზეთ ,,საქართველოს“ პუბლიკაციათა რაკურსში

მარი წერეთელი
ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ ,,საქართველოს“ (1915-1921) პუბლიკაციები, რომლებიც ასახავს 1917-1918 წლების უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ისტორიულ წანამძღვრებს. საკვლევი საკითხის აქტუალურობას განაპირობებს თემის თანამედროვე რაკურსი. კერძოდ, ის გარემოება, რომ 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები დეკლარირებული ე.წ. სამშვიდობო მისიით, უკრაინის „დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის“ მოტივით შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე, რის შედეგად, უკრაინასა და რუსეთს შორის დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო სამხედრო დაპირისპირება ევროპის კონტინენტზე, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს უსაფრთხოებას.

უკრაინაში მიმდინარე პროცესები, უკრაინისა და ბოლშევიკური რუსეთის ურთიერთობის ისტორიული გარემოებები ნაშრომში განხილულია გაზეთ ,,საქართველოს“ პუბლიკაციათა მაგალითზე, რაც დღემდე არ ყოფილა საგანგებო კვლევის საგანი. საგაზეთო პუბლიკაციების კვლევა შესაძლებელს გახდის, გავიაზროთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის ისტორიული კონტექსტი, მისი პოლიტიკური თუ სოციალური ასპექტები.

საკვლევი თემა ასევე, აქტუალურია აღნიშნული ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა გაანალიზების კუთხით.

გაზეთ ,,საქართველოსთვის", როგორც ეროვნული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მთავარი გამოცემისათვის, პრიორიტეტულია რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნების მომავალი, მათი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ასახვა. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალიზდება პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) პერიოდში მიმდინარე პროცესებისა და არსებული გეოპოლიტიკური სინამდვილის პირობებში.

მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნულმა პროცესებმა დიდწილად განსაზღვრა შემდგომი მოვლენები და ამჟამინდელი რეალობაც. ამდენად, ამ რაკურსით საკითხის შესწავლა პრობლემის გენეზისის გააზრებას და თანამედროვე ტენდენციების ანალიზსაც უწყობს ხელს.

უკრაინის თემაზე გაზეთ ,,საქართველოს" საკვლევი პუბლიკაციები ასახავს ქვეყნის სამოქალაქო ომის პერიოდს - 1917 წლის ნოემბრიდან, ვიდრე უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის 22 იანვრამდე, ასევე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ფორმირების პროცესს. აღნიშნულ თემაზე ,,საქართველომ" 200 სხვადასხვა მოცულობის პუბლიკაცია გამოაქვეყნა. მასალა, მეტწილად, ინფორმაციულია და მოვლენებს ქრონოლოგიური პრინციპით ზედმიწევნით წარმოაჩენს. მისთვის დამახასიათებელია: მოვლენურობა, დოკუმენტურობა, პროცესების ასახვის სიზუსტე და უტყუარობა. გაზეთს გამოყოფილი აქვს საგანგებო, მუდმივი რუბრიკები: ,,ეროვნული საკითხი ,,რუსეთი და უკრაინა", ,,უკრაინა", ,,უკრაინის ამბები", ,,უკრაინაში". ყველაზე უფრო ოპერატიული ამბები იბეჭდება რუბრიკით, ,,უკანასკნელი დეპეშები". გაზეთი, რუბრიკით ,,ყირიმი", აქვეყნებს პუბლიკაციებს ყირიმში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მასალები მოძიებულია სხვადასხვა პერიოდული გამოცემიდან, ასევე საინფორმაციო წყაროებიდან. უკრაინაში მიმდინარე მოვლენათა ასახვის პარალელურად, წარმოჩენილია ბოლშევიზმის, როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მაძიებელი ქვეყნებისთვის საერთო საფრთხის არსი, რაც

ზოგადად, გამოცემის პუბლიცისტური დისკურსის მთავარი მახასიათებელია. კვლევის პროცესი გულისხმობს საარქივო მუშაობას - საგაზეთო მასალათა მოძიებას, სისტემატიზება - კლასიფიკაციას, პუბლიკაციათა შინაარსობრივ ანალიზს. ნაშრომი ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომებს. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეშვეობით, საკვლევი საკითხი გაანალიზდება კომპლექსურად, კონტექსტურ ცოდნაზე დაფუძნებით.

კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება XX საუკუნის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდში გამომავალი გაზეთ ,,საქართველოს“ სადღეისოდ აქტუალური კუთხით შესწავლა და საკვლევი საკითხის თანამედროვე რეცეფცია.

საკვანძო სიტყვები: უკრაინა, გაზეთი ,,საქართველო“, 1917-1918 წლები, სუვერენიტეტი, ბოლშევიზმი

Environment and Society, No. 6, December, 2022, pp.101-127

Representation of Socio-Political Events in Ukraine in the Context of the Publications of the newspaper "Sakartvelo" of 1917-1918

Mari Tsereteli

Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

The paper deals with the publications of the national-democratic newspaper "Sakartvelo" ("Georgia") (1915-1921), which reflect the socio-political events in Ukraine in 1917-1918 - the historical background of Russian-Ukrainian relations. The relevance of the research issue is determined by the modern perspective of the topic, in particular, the fact that on February 24, 2022 the armed forces of the Russian Federation announced so-called peacekeeping mission and invaded Ukraine under the pretext of "demilitarization and denationalization", resulting, in an unprecedented military confrontation between Ukraine and Russia on the European continent, which threatens the security of states, including Georgia.

Modern processes in Ukraine, the historical aspects of the relations between Ukraine and Bolshevik Russia are discussed in the article on the example of the publications of the newspaper "Sakartvelo", which has not yet been the subject of a special study. The study of newspaper publications will make it possible to understand the historical context of one of the most pressing problems in the modern world, its political or social aspects.

The research topic is also relevant in terms of the analysis of socio-political events of this era.

For the newspaper "Sakartvelo", as the major publication with a national editorial policy, the priority is to reflect the future of the countries within the Russian Empire, the struggle for their independence. This issue becomes even more topical in the context of the ongoing processes and the established geopolitical reality during the First World War (1914-1918).

The causal analysis of the events confirms that these processes largely determined the subsequent events, as well as contemporary reality. Thus, the study of the issue from this point of view also contributes to the understanding of the genesis of the problem and the analysis of contemporary trends.

The research publications of the newspaper “Sakartvelo” on the topic of Ukraine reflect the period of the country's civil war - from November 1917 to the proclamation of independence of Ukraine on January 22, 1918, as well as the formation of the People's Republic of Ukraine. “Sakartvelo” has published 200 articles of different volumes on this topic. The material is mostly informative and presents events in chronological order. It is characterized by eventfulness, documentary nature, accuracy and truthfulness of the processes. The newspaper has special permanent headings: "National Issue - Russia and Ukraine", "Ukraine", "Ukrainian News", "In Ukraine". The most up-to-date news is published in the column "Latest Telegrams". The newspaper, under the heading "Crimea", publishes articles about the current events in Crimea. It should be noted that the materials were obtained from various periodicals as well as information sources.

In parallel with the reflection of contemporary events in Ukraine, the essence of Bolshevism as a common threat to countries striving for state sovereignty is presented, which in general is the main feature of the publication's publicist discourse.

The research process involves archival work - search for newspaper materials, systematization - classification, content analysis of publications. The paper is based on interdisciplinary approaches. With the help of this methodology, the research issue will be comprehensively analyzed on the basis of contextual knowledge.

As a result of the research, it will be possible to study the actual issue of the newspaper "Sakartvelo", which was published in the most important period of the history of Georgian journalism in the XX century, and to find a modern reception for the research issue.

Keywords: Ukraine, newspaper “Sakartvelo”, 1917-1918 years, Sovereignty, Bolshevism

შესავალი

ქართული კლასიკური ჟურნალისტიკის ერთერთი თვალსაჩინო გამოცემა, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი ,,საქართველო“ 1917-1918 წლებში აქტიურად აშუქებდა უკრაინის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, რაც ნათელ წარმოდგენას ქმნის რუსეთ-უკრაინის ურთიერთობის ისტორიული წანამძღვრების შესახებ. საკვლევი საკითხის აქტუალურობას განაპირობებს თემის თანამედროვე რაკურსი -კერძოდ, ის გარემოება, რომ 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალები დეკლარირებული ე.წ. „სამშვიდობო მისიით“, უკრაინის „დემილიტარიზაციისა და დენაციფიკაციის“ განხორციელების მიზნით შეიჭრნენ მის ტერიტორიაზე, რის შედეგად უკრაინასა და რუსეთს შორის დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უპრეცედენტო სამხედრო დაპირისპირება ევროპის კონტინენტზე, რამაც საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოთა, მათ შორის საქართველოს უსაფრთხოებას.

1917-1918 წლები განსაკუთრებით გამორჩეულია უკრაინაში მიმდინარე პროცესების, უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობის ისტორიული ასპექტების გააზრების თვალსაზრისით, რაც ნაშრომში შესწავლილია გაზეთ ,,საქართველოს" პუბლიკაციათა მაგალითზე და რაც დღემდე არ ყოფილა საგანგებო კვლევის საგანი. ამ კუთხით საგაზეთო პუბლიკაციების შესწავლა შესაძლებელს ხდის, გავიაზროთ თანამედროვე მსოფლიოს ერთერთი ყველაზე აქტუალური პრობლემის ისტორიული გენეზისი, მისი პოლიტიკური თუ სოციალური კონტექსტი.

1917 წლის 7 ნოემბრის ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად, იმპერიაში შემავალი ქვეყნები და ხალხები ბოლშევიკური ოკუპაციისა და ანექსიის საფრთხის წინაშე აღმოჩდნენ. ახალი რეალობის წინაშე, საქართველოს მსგავსად, იყო უკრაინა, რომლის ტერიტორიაზეც 1917-1920 წლებში არსებობდა სხვადასხვა ხელისუფლება. მათ წინააღმდეგ სამოქალაქო ომში იყო ჩართული 1917 წელს შექმნილი უკრაინის სახალხო რესპუბლიკა.

პუბლიკაციები ასახავს ქვეყნის ბრძოლას სუვერენიტეტისათვის, სამოქალაქო ომის პერიოდს - 1917 წლის ნოემბრიდან, ვიდრე უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის 22 იანვრამდე, ასევე, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ფორმირების პროცესს.

1918 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინის წინააღმდეგ განახორციელა სამხედრო შეტევა, რის შემდეგ, 1918 წლის 22 იანვარს, უკრაინის სახალხო რესპუბლიკამ გამოაცხადა რუსეთისგან დამოუკიდებლობა და სწორედ ამ სახით იარსება მან 1922 წლამდე, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლამდე. 1991 წელს უკრაინამ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გამოცემა ,,საქართველო" გამოდიოდა 1915-1921 წლებში. სხვადასხვა პერიოდში გაზეთს ჰყავდა სხვადასხვა რედაქტორი: 1915 – 1917 წლებში გამოცემას რედაქტორობდა პოეტი ალ. (სანდრო) შანშიაშვილი, 1917 - 1918 წლებში გრიგოლ

ვეშაპელი (ვეშაპიძე), 1918 -1919 წლებში (გერონტი ქიქოძე), ბოლოს - 1920 წლის აგვისტოდან 1921 წლის 23 თებერვლამდე - სპირიდონ კედია.

ამგვარად, სხვა პარტიული გამოცემებისგან განსხვავებით, გაზეთი „საქართველო" დაარსდა მანამდე, ვიდრე ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფი პარტიად ჩამოყალიბდებოდა. გაზეთის მუდმივი ავტორები იყვნენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები და პუბლიცისტები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები: მიხ. ჯავახიშვილი, გრ. რობაქიძე, ვ. ბარნოვი, გ. ქიქოძე, შ. დადიანი, რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, შ. ქარუმიძე, ალ. ფრონელი (ყიფშიძე), შ. არაგვისპირელი, ს. ახმეტელი, დ. ჩიქოვანი და სხვ.

საკვლევი გამოცემა შეირჩა იმ პრინციპით, რომ გაზეთისთვის, როგორც 1917-1918 წლების ეროვნული სარედაქციო პოლიტიკის მქონე მთავარი გამოცემისათვის, ამ წლებში გამოკვეთილად პრიორიტეტული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იდეა - შესაბამისად, იგი მხარს უჭერდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნებისა და ხალხების თავისუფალ მომავალს, ასახავდა მათ ბრძოლას ეროვნული სუვერენიტეტისათვის. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალიზდება პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1918) მიმდინარე პროცესებისა და ახალი გეოპოლიტიკური სინამდვილის ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. საკვლევი თემა აქტუალურია თავად ეპოქის ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა გაანალიზების კუთხითაც.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს საარქივო კვლევას, რაც გულისხმობს პირველადი წყაროების - საგაზეთო პუბლიკაციების, მოძიებას, სისტემატიზება - დამუშავებას. საკითხი შესწავლილია საკვლევ პერიოდში უკრაინაში განვითარებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებზე დაკვირვებით - მასალის კლასიფიკაციისა და კონტექსტურად შესწავლის შედეგად. ასევე, კვლევის მეთოდად გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზი. საკვლევ კატეგორიებად შერჩეული ერთეულების:

ჟანრის, თემის, მოვლენის, პუბლიცისტური ტექსტების მთავარი აქცენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა მთავარი მოვლენები, ძირითადი თემები, პუბლიცისტური ტექსტების მიზანდასახულობა და სპეციფიკა. ნაშრომი გულისხმობს ინტერდისციპლინურ მიდგომებს - თემის ისტორიოგრაფიულ და პოლიტოლოგიურ ჭრილს. აღნიშნული მეთოდოლოგიის მეშვეობით, საკვლევი საკითხი გაანალიზებულია კომპლექსურად, კონტექსტურ ცოდნაზე დაფუძნებით.

უკრაინის თემაზე გაზეთ ,,საქართველოს" საკვლევი პუბლიკაციები მოიცავს 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდს, როდესაც თვალსაჩინოდ გამოიკვეთა უკრაინის სწრაფვა ავტონომიისაკენ.

ამდენად, კვლევის მიზანია დავადგინოთ:

1. როგორი კონცეპტუალური სარედაქციო პოლიტიკით აშუქებდა უკრაინის თემას გაზეთი ,,საქართველო"?

2. რა თავისებურებებით განიხილავდა გამოცემა რეალურ დროში უკრაინაში მიმდინარე პროცესებს?

ლიტერატურის მიმოხილვა - საკითხის ისტორიოგრაფიული ასპექტი

1917-1921 წლების პოლიტიკური მოვლენები უკრაინულ ისტორიოგრაფიაში სიტემატური კვლევის საგანია. პოსტსაბჭოთა სამეცნიერო ნაშრომებში აღნიშნული პერიოდი ახლებურად არის შესწავლილი. შედეგად, დიდწილად გადაფასებულია საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ დამკვიდრებული იდეოლოგიზებული ხედვები და სტერეოტიპები.

თანამედროვე უკრაინელი ისტორიკოსი ვიქტორ გოცულიაკი ნაშრომში ,,უკრაინის რევოლუციის ისტორიის თანამედროვე ინტერპრეტაციები", მიმოიხილავს ცალკეულ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებს და აღნიშნავს: - ,,ისტორიოგრაფიული კვლევების ავტორები ხელმძღვანელობენ

ობიექტურობის, ისტორიზმისა და მეთოდოლოგიური პლურალიზმის პრინციპებით, რომლებიც ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას, მეცნიერულ-ისტორიული კვლევების ანთროპოლოგიას, ქვეყნის შიდა და უცხოური მეცნიერების მიღწევებს. მათი პუბლიკაციები მიზნად ისახავს ისტორიოგრაფიული საგნების ობიექტურ და ყოვლისმომცველ გაშუქებას, ითვალისწინებს ცივილიზაციური თეორიის განვითარების კონცეპტუალურად მნიშვნელოვან ასპექტებს, ცალკეულ მეცნიერთა ცივილიზაციური ანალიზის მეთოდებს, სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თეორიულ დასკვნებს, რაც ხელს უწყობს პრინციპული სამეცნიერო ისტორიული და ისტორიოგრაფიული პრაქტიკის გააზრებასა და ჩამოყალიბებას“ (Гоцуляк, 2017, 8). ხოლო გენადი კოროლიოვი სტატიაში ,,აკადემიური დისკურსი უკრაინის რევოლუციის ისტორიის შესწავლის შესახებ 1917–1921 (მე-20 საუკუნის 90-იანი წლები - XXI საუკუნის დასაწყისი“) აღნიშნავს, რომ ,,თანამედროვე აკადემიური დისკურსი უკრაინაში გახდა ძველი იდეებისა და სტერეოტიპების ახალი მეთოდოლოგიური ინტერპრეტაციის წარმატებული სფერო - პოზიციები, რომლებიც ქმნის თვისებრივად ახალ მიდგომებსა და მითებს რევოლუციის შესახებ“ (Королев, 2012, 378).

ამერიკელი სლავისტი-ისტორიკოსი მარკ ფონ ჰაგენი ნაშრომში, ,,რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები XX საუკუნის პირველ ნახევარში“, აღნიშნავს: ,,1917 წელს ახალმა ელიტებმა დაიწყეს ძველი რეჟიმიდან გასვლის პირობების შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ელიტები გარკვეულწილად მზად იყვნენ პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში დაეყენებინათ „სოციალური საკითხი“, „ეროვნული საკითხის“ პარალელურმა ესკალაციამ ისინი გააოცა. მათი ლიბერალური და სოციალისტური რწმენის შესაბამისად, ახალი მთავრობა ელოდა, რომ ეროვნული საკითხი დროებით გადაწყდებოდა, მას შემდეგ, რაც იგი გააუქმებდა ეროვნულ ან რელიგიურ ნიადაგზე ყოველგვარ დისკრიმინაციას და გამოაცხადებდა მოქალაქეთა სრულ თანასწორობას, განურჩევლად რელიგიის, რასისა თუ ეროვნებისა. ამრიგად, მეტოქეობა, რომელიც წარმოიშვა კიევის რადასა და პეტროგრადში ორმაგ ძალაუფლებას შორის, გაჩნდა ახალი ძალაუფლების სტრუქტურების თითქმის ყველა ქვედა დონეზე. ეს მეტოქეობა ორიენტირებული იყო პოსტავტოკრატიულ რუსეთში ავტონომიის შემოღების პრინციპებსა და ვადებზე. ამ ბრძოლამ თავი იჩინა იმპერიულ ჯარშიც, სადაც უკრაინიზაციის ლოზუნგი

იყო ომით დაღლილი ჯარისკაცების მრავალი მოწოდებიდან, ერთ-ერთი, ტერიტორიულ და ეროვნულ პრინციპებზე დაფუძნებული შენაერთების შესაქმნელად - უკრაინელებიდან ციმბირამდე და ებრაელებამდე. სარდლობისა და ოფიცერთა კორპუსის გავლენიანი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, ჯარის „ნაციონალიზაციის“ პოლიტიკამ მოიცვა იმპერია და ყველგან გამოიწვია კონფლიქტები „რუსულ“ უმრავლესობასთან (Хаген, 1997). უკრაინელი მკვლევარი ვ. სოლდატენკო 2021 წლით დათარიღებულ ისტორიოგრაფიული ესეების კრებულში, ,,უკრაინა: რევოლუციური ეპოქა და შემდეგი ათწლეულები“, აღნიშნავს: ,,ბრძოლა დიდი მიზნის მისაღწევად - უკრაინელი ერის აღორძინება მისი არსებობის ყველა გამოვლინებაში, გამონაკლისის გარეშე - ეკონომიკური, პოლიტიკური, სახელმწიფო, სულიერი, გახდა საყრდენი, რომელმაც განსაზღვრა უკრაინის რევოლუციის შინაარსი. უკრაინული საქმის ლიდერები თვლიდნენ, რომ ამგვარი პრობლემის სრულმასშტაბიანი გადაწყვეტა წარმოუდგენელია მისი ორგანული კავშირის გარეშე გადაუდებელ სოციალურ გარდაქმნებთან, ერის აბსოლუტური უმრავლესობის - მშრომელი ხალხის სასარგებლოდ. სწორედ ამაში გამოიხატებოდა დაწყებული ბრძოლის ღრმა დემოკრატიული აზრი, რამაც განსაზღვრა ეროვნული რევოლუციის არსებითი შინაარსი და ხასიათი. პირველად მრავალი საუკუნის განმავლობაში, ხალხს მიეცა საშუალება, მოეხსენიებია თავისი სამშობლო, დაპყრობილი სახელმწიფოებრიობა - რესპუბლიკა, საკუთარი უკრაინული სახელით. ამ სახელწოდებით აღორძინებული სახელმწიფოებრიობა მთელი მსოფლიოს წინაშე გაჩნდა და არასოდეს გამქრალა პოლიტიკური ასპარეზიდან, როგორც საერთაშორისო ცხოვრების სუბიექტი“ (Солдатенко, 2021, 18-19).

იელის უნივერსიტეტის პროფესორის, ტიმოთი სნაიდერის აზრით, ,, მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიის მთავარი თემაა იმპერიიდან ინტეგრაციაზე გადასვლა. უკრაინა არის ქვეყანა, რომლის გამოცდილებაც აერთიანებს ევროპულ და გლობალურ თემებს, რაც საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ეს პროცესი. 1917 არის დასაწყისი - ანტიკოლონიური რევოლუცია, რომელიც ასევე იყო კოლონიური რევოლუცია. უკრაინის ისტორია არის ერთგვარი საჩუქარი გლობალური

ისტორიისთვის, რომ უკრაინის ისტორია, მრავალი თვალსაზრისით, არის დაკარგული რგოლი, რომელიც გლობალურ ისტორიაში გარკვეულ ტენდენციებს უფრო მეტ აზრს ანიჭებს“(Snyder, 2017).

უკრაინის მოვლენების გაშუქების სარედაქციო სტრატეგია

უკრაინის თემაზე 1917-1918 წლებში ,,საქართველომ“ 200 -ზე მეტი სხვადასხვა მოცულობის პუბლიკაცია გამოაქვეყნა. აღნიშნული პუბლიკაციებით გაზეთმა მკაფიოდ ასახა 1917-1918 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების დოკუმენტური სურათი. უკრაინის თემის საგაზეთო გაშუქებაში პირობითად მოინიშნება ორი პერიოდი: პირველ პერიოდში, თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკურ გადატრიალებადე -1917 წლის ნოემბრამდე ახალ ამბებთან ერთად გვხვდება ანალიტიკური პუბლიკაციები: სარედაქციო სტატიები, ე.წ. მეთაური ხელმოუწერილი წერილები, პუბლიცისტური სტატიები, მიმოხილვები, სტატია-რეპორტაჟები, რომლებშიც ასახულია უკრაინაში მიმდინარე რთული, წინააღმდეგობრივი მოვლენები.

გაზეთისთვის ყველაზე პრიორიტეტული თემა - უკრაინის სწრაფვა ავტონომიისაკენ, განხილულია სიღრმისეულად, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის კონტექსტში, ისეთი გამორჩეული ავტორების მიერ, როგორებიც იყვნენ: თვალსაჩინო პუბლიცისტი გერონტი ქიქოძე, ეროვნული ავტონომიის იდეის მომხრე, სოციალ-დემოკრატი, 1919 წლის დამფუძნებელი კრების წევრი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და ცნობილი ექიმი ივანე გომართელი, გაზეთ ,,საქართველოს“ რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი, მკვლევარი და პუბლიცისტი, პეტრე ჭარია-ფსევდონიმით, ბ.გ.- ე, პუბლიცისტი და პედაგოგი კირილე ჯავახია, ფსვდონიმით - სტუმარი, რ.ინგილო -პუბლიცისტი - რაფიელ ივანიცკი და სხვ.

ე.წ. მეორე პერიოდი ასახავს უკრაინის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს - სამოქალაქო ომს და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდებს, აგრეთვე, გერმანია-უკრაინის ამბებს. აღნიშნულ თემებზე საგაზეთო მასალა, მეტწილად, ინფორმაციულია და მოვლენებს ქრონოლოგიური

პრინციპით წარმოაჩენს. გაზეთ ,,საქართველოში“ უკრაინის მოვლენების გაშუქების სარედაქციო სტრატეგია მოიცავს შემდეგ მთავარ მიმართულებებს:

- ავტონომიის მოთხოვნა და მასთან დაკავშირებული მოვლენები;
- უკრაინის ცენტრალური რადას ფორმირება და უნივერსალები (საპროგრამო ხასიათის პოლიტიკურ - სამართლებრივი აქტები);
- უკრაინული ჯარის ფორმირების პროცესი;
- სამოქალაქო დაპირისპირების ასახვა, ასევე, ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ;
- სახელმწიფოებრივი ცვლილება უკრაინაში;
- გერმანიის პოლიტიკა უკრაინაში;
- საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის მიმართ.

ეროვნული ავტონომიის იდეა გაზეთ ,,საქართველოში“

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქტუალიზდება ეროვნული ავტონომიის იდეა, რომლის მოპოვების სურვილიც გამოხატეს: ფინეთმა, პოლონეთმა, ლიტვამ (ლიეტუვამ), უკრაინამ, ბელორუსიამ და სხვა ქვეყნებმა. ზოგადად, აღნიშნულ პერიოდში ავტონომიის იდეისადმი მხარდაჭერა გაზეთ ,,,საქართველოს“ არაერთ პუბლიკაციაში განიხილება ფართოდ, საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ანალიტიკური სიღრმითა და ანალოგიებით. ასევე, საინფორმაციო ფორმატში - მოვლენათა პერმანენტული გაშუქებით.

1917 წლის 9 აპრილს ე. მალის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მეთაურ (სარედაქციო) წერილში ,,ბუნდოვანი მომავალი” ავტორი საქართველოს ავტონომიის საკითხს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფი სხვა ქვეყნების კონტექსტში განიხილავს და წუხს, რომ მიმდინარე პროცესში, მაშინ, როცა ფინეთმა, პოლონეთმა, ლიტვამ, უკრაინამ წამოიწყეს ავტონომიისათვის ბრძოლა, საქართველოს ავტონომიის პერსპექტივა არ იკვეთება. ავტორის თქმით, თვით ბელორუსები და ესტონელებიც კი, რომელთაც არასდროს ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა, ამ

მიზნისთვის იბრძვიან. ავტორის სკეპტიციზმი იკითხება შემდეგ კითხვაში: - ,,საქართველო სრულიად განმარტოებული დარჩება და რად უნდა გამოიდვას თავი საქართველოს უფლებებისათვის უკრაინამ ან ლიტვამ? ახლა მომავალ დამფუძნებელ კრებაზე მხოლოდ საქართველოს უფლებები იქნება სადაო და საბრძოლველი. არის იმედი, რომ რომ მას საკმაო მომხმარე და მეგობრები აღმოუჩნდება?“ (მალი, 1917, გვ.1).

ამ პერიოდში ავტონომიის იდეის თავგამოდებულ მომხრედ გვევლინება ცნობილი სოციალ-დემოკრატი, პუბლიცისტი ივანე გომართელი. აღნიშნულ თემას შეეხება 1917 წელს მის მიერვე დაარსებულ გაზეთ ,,ალიონში“ გამოქვეყნებული შემდეგი სტატიები: „ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა“, „ჩვენებური ბოლშევიკები და ეროვნული საკითხი“, „ერის უფლება და თავისუფლება“, და სხვ. ამავე წელს გამოიცა მისი წიგნი „საქართველოს ტერიტორიული ავტონომია, ანუ ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობა“.

ქართული სოციალ-დემოკრატიისთვის ავტონომიის მართებულობის საკითხია განხილული გაზეთ ,,საქართველოს“ 1917 წლის 6 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ი. გომართელის წერილში ,,საქართველოს ტერიტორიული ავტონომია“. პუბლიცისტის აზრით, თუ პოლონეთში, ლიტვაში, უკრაინაში, პროლეტარიატის ინტერესი არ მოითხოვს ამ ქვეყნების მართვა - გამგეობას პეტროგრადიდან ანუ ცენტრალისტურ დამოკიდებულებას, ცხადია, ამგვარი დამოკიდებულება არც ჩვენი პროლეტარიატისთვის არის საჭირო. ავტორი დაასკვნის: ,,თუ ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება პოლონეთის, უკრაინის, ლიტვის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპებს, არც ჩვენში იქნება პრინციპების ღალატი, რომ ჩვენმა სოციალ-დემოკრატიამ საქართველოს ტერიტორიული ავტონომია მოითხოვოს“ (გომართელი, 1917. გვ.1-2).

გერონტი ქიქოძემ, გაზეთ ,,საქართველოს“ 1917 წლის 21 აპრილის ნომერში, გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო სტატია ,,უკრაინა და საქართველო“, რომელიც აქტუალურია საქართველოსა და უკრაინის ისტორიული თუ იმდროინდელი ანალოგიების გაანალიზების მხრივ, ამიტომაც, აღნიშნულ სტატიას ვრცლად განვიხილავთ.

მთავარი კითხვაა - რომელი სისტემა გაიმარჯვებს რუსეთში ცენტრალიზმი თუ დეცენტრალიზმი? ავტორის აზრით, რუსეთში, ველიკორუსების ტომი მთლიანი, განუყოფელი რუსეთის იდეის გარშემოა შეკრებილი. პრაქტიკულად, გამართლდა სტატიაში გამოთქმული ავტორის ვარაუდი, რომ მიუხედავად თებერვლის რევოლუციით მოსალოდნელი ცვლილებებისა, რუსეთში, ისტორიულად, ცენტრალიზმს მეტი პერსპექტივა აღმოაჩნდა.

პუბლიცისტი მისთვის დამახასიათებელი ცოდნით, სიღრმისეულად განიხილავს უკრაინის ისტორიულ - გეოგრაფიულ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც სადღეისოდაც მრავალმხრივ საინტერესო ანალიზის ნიმუშია, უკრაინის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის. ამავდროულად, ავტორი მსჯელობს უკრაინის ავტონომიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე - მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. მას სუსტ მხარედ მიაჩნია ის გარემოება, რომ უკრაინელები სხვადასხვა ქვეყანაში არიან გაფანტულები, რასაც მოხმობილი სტატისტიკური მონაცემებიც ადასტურებს. ეს გარემოება პუბლიცისტს ქვეყნის ეროვნული მთლიანობისათვის სერიოზულ პრობლემად ესახება. მისი თქმით, უკრაინის ტერიტორია არ იყო მკაფიოდ შემოსაზღვრული, ვინაიდან, მას აკლდა ბუნებრივი ზღუდეები - სამხრეთით, ყველაზე სადავო, შავი ზღვა. სამაგიეროდ, უკრაინისათვის დიდი უპირატესობა იყო მისი უმდიდრესი მიწა-წყალი. ასევე, დონეცკის მხარე, დნეპრი, რომელსაც დიდი სააღებიცემო პერსპექტივა ჰქონდა. შავი ზღვა კი უკრაინას ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ბაზრებს უკავშირებდა, რაც მომგებიანი იყო. ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით. გ.ქიქოძის აზრით, გეოგრფიული მდებარეობის გამო, ,,უკრაინას ავტონომიისთვის მტკიცე საფუძველი აქვს».

სტატიაში მოყვანილი ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი ადასტურებს, რომ უკრაინა რუსეთისთვის დიდი შემოსავლის წყარო იყო. აღნიშნულია, რომ 1903 წლისთვის უკრაინის მხარემ რუსეთის ბიუჯეტს 520 მილიონი მანეთის შემოსავალი მისცა, რუსეთმა კი ამ შემოსავლიდან უკრაინისთვის მხოლოდ 280 მილიონი მანეთი დახარჯა. მოხმობილი მონაცემების მიხედვით, ცხადი ხდება უკრაინის მიმართ რუსეთის წარსული და თანამედროვე იმპერიული ინტერესების

მამოძრავებელი ერთერთი ასპექტი-ეკონომიკური ინტერესი. ავტორი აღნიშნავს: -,,უკრაინას ერთ დროს თავისი გზით უვლია. კიევის პერიოდში ეს ხალხი მეთაურობდა სლავიანურ კულტურას, მონგოლურ პერიოდში სწორედ უკრაინელებმა შეინარჩუნეს თავისი ,,რასიული სისხლი", ვიდრე ველიკორუსებმა. ამასთან ერთად შეინარჩუნეს ხალხოსნური სული, თემური თავისუფლება და ამომრჩევლობითი პრინციპი, რაიცა ჩქარა შეეჯახა მოსკოვის ბიუროკრატიულ სისტემას"(ქიქოძე, 1917, გვ.1).

საქართველოსთან ისტორიული ანალოგიის მთავარი განმსაზღვრელია ის, რომ როდესაც უკრაინა რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა 1654 წელს, რუსეთმა მეორე დღესვე დაარღვია მოსკოვში დადებული ხელშეკრულება, რომლითაც მას უნდა ჰქონოდა პოლიტიკური ავტონომია, ჰყოლოდა არჩეული ჰეტმანი და თავისი ეროვნული ჯარი. ბოლოს პეტრე დიდმა მოსპო ჰეტმანობა და 1722 წელს რუსი ოფიცრებისაგან შემდგარი საგანგებო მალოროსიული კოლეგია დაარსა. პეტერბურგში გადაასახლეს და დაატუსაღეს გამოჩენილი უკრაინელი მეთაურები და მამასახლისები. საქართველოს მსგავსად, უკრაინელებს დააწვათ რუსეთის იმპერიის უღელი. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსმა მინისტრმა პეტრე ვალუევმა განაცხადა: ,,უკრაინული ენა არასოდეს არ ყოფილა, არ არის და არც იქნებაო". 70-იან წლებში კი მეფის საგანგებო ბრძანებულებით, საბოლოოდ აიკრძალა უკრაინული ენის ხმარება სკოლებსა და დაწესებულებებში.

გ. ქიქოძის აზრით, - ,,დიდი უკრაინის და პაწია საქართველოს მომავალი ბედი მაინც მჭიდროდ არის გადაჭდობილი ერთმანეთში. უკრაინისა და საქართველოს მიერთების შემდეგ, რუსეთის წინაშე კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხი აღიმართა. რუსეთმა იგრძნო, რომ მისი ისტორიული გზა ახლობელი აღმოსავლეთისკენ მიდის, მაგრამ ამ გზაზე უკრაინელი და ქართველი ერი ცხოვრობს. რუსეთის მებრძოლი იმპერიალიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს თავის მიზანს, თუ ის ამ ორი ერის ცხედარს გადასთელავს. რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზია ადვილად შეურიგდება პოლონეთის დამოუკიდებლობას, ფინლანდიის, ლატვიის, სომხეთის ავტონომიას, მაგრამ ის უბრძოლველად ვერ დაუთმობს ვერც უკრაინელებს, ვერც ქართველებს - იმიტომ რომ, ეს

ისტორიული მისიის დათმობა იქნებოდა“(ქიქოძე, 1917, გვ.1). თუმცა ავტორი მიიჩნევს, რომ რუსეთის რევოლუცია ამ მიმართებით არის შანსი-ორივე ქვეყნისთვის.

მოლოდინი, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად განხორციელდებოდა რუსეთის იმპერიის დეცენტრალიზაცია და შესაძლებელი გახდებოდა, მცირერიცხოვან, დაპყრობილ ხალხებს მისცემოდათ ეროვნული ავტონომია, არ გამართლდა. დროებითმა მთავრობამ თავის თავზე არ აიღო დათქმული პირობის შესრულება და ამ საკითხის გადაწყვეტა - დამფუძნებელ კრებაზე გადაამისამართა, რამაც უკრაინელების დიდი უკმაყოფილება და პროტესტი გამოიწვია. საბოლოოდ, დროებითმა მთავრობამ ცნო უკრაინის დამოუკიდებლობა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა უმრავლესობაში მყოფი კონსტიტუციურ-დემოკრატების პროტესტი და მთავრობიდან გასვლა. რამაც ხელი შეუწყო დროებითი მთავრობის კრიზისს და ამის შემდგომ უკრაინაში განვითარებულ ანარქიულ პროცესებს. აღნიშნულ მოვლენებს ეძღვნება გაზეთ ,,საქართველოს“ შემდეგი პუბლიკაციები: ,,მთავრობამ უკრაინის ავტონომია აღიარა“, ,,უკრაინის ავტონომია და სამინისტრო კრიზისი“ , ,,კადეტები და რევოლუცია“ (გაზეთი საქართველო, 1917, 6 ივლისი).

უკრაინის უნივერსალი

უკრაინის ცენტრალური რადას უნივერსალი - ეს იყო პოლიტიკური პროგრამული ხასიათის დეკლარაციები, რომლებსაც 1917-1918 წლებში გამოსცემდა ცენტრალური რადა (UCR) , როგორც უკრაინის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო. სულ გამოქყვეყნდა ოთხი უნივერსალი, რომლებითაც განისაზღვრა უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები - ერთიანი რუსული სახელმწიფოს ფარგლებში, ფორმალური ავტონომიის გამოცხადებიდან, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. პირველი ორი უნივერსალი გამოქვეყნდა ე.წ. ოქტომბრის რევოლუციამდე (იგულისხმება 7 ნოემბრის ბოლშევიკური გადატრიალება - მ.წ.) და ასახავდა ურთიერთობას ცენტრალურ რადასა და რუსეთის დროებით მთავრობას შორის. მესამე და

მეოთხე უნივერსალი არეგულირებდა ურთიერთობებს ცენტრალურ რადასა და რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შორის.

გაზეთი ,,საქართველო", რომელიც მუდმივად მიადევნებს თვალს უკრაინაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, 1917 წლის 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული რუბრიკით ,,ეროვნული საკითხი" - უკრაინა და რუსეთი - დამოუკიდებლობის უნივერსალი", მკითხველს აუწყებს, რომ 8 ნოემბერს გამოქვეყნდა ცენტრალური რადას უკრაინის დამოუკიდებლობის უნივერსალი. უკრაინის რადას მიზანი პროფესომა გრუშევსკიმ გაახმოვანა: ,,მრისხანე მომენტი გვიკარნახებს, უკრაინაში მთავრობის მოსაწყობად გაბედული ნაბიჯი გადავდგათ. უკრაინა ანარქიისა და სამოქალაქო ომის საშინელებათაგან უნდა ვიხსნათ" (გვ.3). გაზეთი ცდილობს განაცდევინოს მკითხველს უკრაინელთა ემოციური განწყობა, რაც ცხადია, მასში ეროვნული მუხტის გაძლიერებას ისახავს მიზნად. უნივერსალის გადაწყვეტილებით, უკრაინის საზღვრები დამყარდებოდა მას შემდეგ, რაც მთელი ერი გამოხატავდა თავის ნებას. გაზეთი ვრცლად აშუქებს უკრაინის მე-4 უნივერსალს, რომელშიც გაცხადებულია უკრაინელთა სურვილი, დაეცვათ ქვეყნის დამოუკიდებლობა. უკრაინის ცენტრალური რადას გადაწყვეტილებით, ამიერიდან მხოლოდ ერთადერთი ორგანო - სახალხო მინისტრების საბჭო იყო უფლებამოსილი, ეწარმოებინა საზავო მოლაპარაკებები და ყველაფერი ეღონა, რათა უკრაინაში მშვიდობა დასადგურებულიყო.

აღნიშნულ თემას შეეხება პუბლიცისტისა და პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, გაზეთ ,,საქართველოს" რედაქტორის თანაშემწის, ეროვნული საბჭოს წევრის, რ. ინგილოს (რაფიელ ივანიცკის) სტატია ,,უკრაინის უნივერსალი", რომელიც გამოქვეყნდა 1917 წლის გაზეთ ,,საქართველოში" (#140). ავტორი უკრაინის ცენტრალური რადას უნივერსალს უკრაინელი ერის ,,დიდებულ მანიფესტაციად" მოიხსენიებს. დოკუმენტს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა რუსეთში, ზოგში აღფრთოვანება, ზოგშიც მტრული განწყობა გამოიწვია, თუმც დაჩაგრულ ერებს მომავლის იმედი ჩაუსახა. ავტორის მიზანია, გამოკვეთოს უნივერსალის მთავარი მიზანი, რაც გამომდინარეობდა თებერვლის რევოლუციის იდეალებიდან -

ეს იყო ერთა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვა. პუბლიცისტი ტექსტის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მთავარ აქცენტებს ასე აყალიბებს:

- თვითმპყრობელობის დამხობასთან ერთად რუსეთი უნდა გათავისუფლებულიყო იმპერიული მმართველობის მეთოდებისაგან;
- ნამდვილი დემოკრატების დაპირება იყო, უარი ეთქვათ ცენტრალიზებულ მართვაზე.

რ. ინგილოს თქმით, ერთა თვითგამორკვევასა და ავტონომიის იდეაზე უარის თქმა - რუსეთის რევოლუციის ღალატს ნიშნავდა: ,,ჩვენის აზრით, უკრაინის ხალხმა გამოსთქვა ის, რასაც ყველა სხვა ერიც სისრულეში მოიყვანდა, თუ მდგომარეობა და შეძლება ხელს შეუწყობდა. ცენტრალურმა რადამ გაბედულად სთქვა ის, რასაც მთელის რუსეთი სიტყვით მაინც აღიარებს, მან ერს თვითგამორკვევის საძირკველი ჩაუყარა; ამ საძირკველზე მომავალმა წყობილებამ უნდა აღმართოს უკრაინის პოლიტიკური ავტონომიის შეურყეველი კედლები, ეს აქტი, ჩვენის ღრმა რწმენით უნდა იწვევდეს მხოლოდ და მხოლოდ თანაგრძნობას და არა იმ მტრობას, რომელსაც მის მიმართ სხვადასხვა მხრიდან ეწევიან“ (ინგილო, 1917.გვ.2).

უკრაინული ჯარის ფორმირება

ავტონომიისათვის ბრძოლის განუყოფელი ნაწილია უკრაინული ჯარის შექმნის პროცესი, რასაც დიდი ყურადღებას უთმობს გაზეთი ,,საქართველო“. მაგ., რუბრიკით ,,ეროვნული საკითხი“ - დეპეშები, გამოცემა მკითხველს აუწყებს, რომ უკრაინაში მას შემდეგ დაიწყო ჯარის ფორმირება, როდესაც გრენადერთა პირველი დივიზიის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დროებით მთავრობას და უმაღლეს მმართველობას წარუდგინეს დადგენილება ჯარის შესახებ. გაზეთში გამოქვეყნებული დადგენილების ტექსტი პუნქტობრივად ასახავს ჯარის ორგანიზების გეგმას:

- შექმნილიყო უკრაინის ჯარი, რომელიც რიცხოვნობით არ ჩამოუვარდებოდა პოლონეთისას;

- მოქმედი ჯარისკაცები გამოეწვიათ და ჩაეყვანათ კიევში, უკრაინის ეროვნული კონგრესის რადას განკარგულებაში;
- ჯარისკაცებისთვის მიეწოდებინათ ჟურნალ-გაზეთები და მათთვის გაეცნოთ უკრაინის რადას ნება მოწოდებებისა და პროკლამაციების სახით;
- უკრაინის კონგრესის აღმასრულებელ რადას მიეღო ყველა ზომა, ჯარის სასწრაფოდ დასაარსებლად და თავის თავზე აეღო ჯარისკაცების მფარველობა.

როგორც გამოქვეყნებული ახალი ამბებიდან და ცნობებიდან ჩანს, ეს პროცესი მალევე დაიწყო, უკრაინის ჯარის შესახებ ინფორმაცია მეტწილად ქვეყნდება რუბრიკით: ,,ეროვნული საკითხი" და ოპერატიულად აწვდის მკითხველს ქვეთავებად, შავი შრიფტით გამოყოფილ სიახლეებს. მაგ., ,,უკრაინელი ჯარისკაცები ომში არ მიდიან", ან ,, უკრაინის ჯარი", ,,უკრაინელ ჯარისკაცთა შეკითხვა" და სხვ. 1917 წლის ,,საქართველოს" 24 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულია პუბლიკაცია ,,უკრაინის ჯარის დისციპლინა", რომელშიც ჩამოყალიბებულია უკრაინის სახალხო ლაშქრის დროებითი სტატუსის განმსაზღვრელი 28 პუნქტი.

მიმდინარე მოვლენები

პუბლიკაციები, 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შედგომ, უმთავრესად, მოვლენურია. ჟანრობრივად, ეს არის: ცალკეული ინფორმაციები, ცნობები, დეპეშები, სხვადასხვა შინაარსის მიმოხილვითი საგაზეთო პუბლიკაციები. ყველაზე უფრო ოპერატიული ამბები იბეჭდება რუბრიკით, ,,უკანასკნელი დეპეშები". გაზეთს გამოყოფილი აქვს მუდმივი რუბრიკები: ,,ეროვნული საკითხი - რუსეთი და უკრაინა", ,,უკრაინა", ,,უკრაინის ამბები", ,,უკრაინაში", ,,უკრაინელები და ბოლშევიკები" და სხვ. რუბრიკით ,,ყირიმი", ქვეყნდება პუბლიკაციები ყირიმში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ საგაზეთო მასალები მოძიებულია უკრაინისა და რუსეთის პერიოდული გამოცემებიდან, ასევე, იმდროინდელი საინფორმაციო წყაროებიდან/სააგენტოებიდან. გარდა აღნიშნული პუბლიკაციებისა, გაზეთი ბეჭდავს უკრაინის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების, ცალკეული მოვლენების ამსახველ დოკუმენტებს, საკანონმდებლო და მმართველობითი

ორგანოების გადაწყვეტილებებს - სამთავრობო განკარგულებებს, დეტალურ ინფორმაციებს არჩევითი ორგანოების საქმიანობის შესახებ. ყურადღება ეთმობა უკრაინის შიდა პოლიტიკურ ამბებს, რომლებიც წარმოაჩენს პოლიტიკური და საარჩევნო ორგანოების ფორმირების პროცესს. აღსანიშნავია, რომ ,,საქართველო" ყურადღებას ამახვილებს უკრაინის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზეც, ეკლესიისა და განათლების თემებზე. გამოცემა ერთიანი სარედაქციო მიდგომით განიხილავს დაპყრობილი ქვეყნების მდგომარეობას და მხარს უჭერს მათ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ახალი ამბები შუქდება ოპერატიულად, მთავარი მახასიათებლებია: მოვლენურობა, ფაქტობრიობა, წყაროების დასახელება, პროცესების ასახვის სიზუსტე და უტყუარობა.

ამგვარად, გამოცემა უკრაინის ავტონომიისათვის ბრძოლას უკრაინაში განვითარებული მოვლენების პარალელურად წარმოაჩენს. ეს მოვლენებია: 1917 წლის აპრილ - მაისში ავტონომიისათვის წამოწყებული ფართო მოძრაობა-სხვადასხვა ყრილობა, მაგ., 9 აპრილის ახალი ამბავი გვაუწყებს, რომ გაიმართა 500 უკრაინელი მასწავლებლის კრება, რომელმაც რუსეთის განათლების მინისტრს მანუილოვს უკრაინულ ენაზე გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკრაინაში დაიწყო ყველა სკოლის უკრაინიზაციის პროცესი და თავისუფალ უკრაინაში დაცული ეროვნებათა უფლებები. კრება მხარს უჭერს დროებითი მთავრობის ყველა განკარგულებას, რომელიც უკრაინელი ხალხის საჭიროებებს დააკმაყოფილებს (გვ.2). ამავე კრებამ დაადგინა, დაარსოს უკრაინული სასკოლო მთავარი რადა, რომელიც მოამზადებს ლექტორებს, პედაგოგებს, ქალაქებისა და სოფლებისათვის. 6 აპრილს კი გაიმართა უკრაინელი სოციალ-დემოკრატების კონფერენცია, რომლის რეზოლუციაშიც გადაჭრით არის წამოყენებული უკრაინის ავტონომიის მოთხოვნა. ,,საქართველოს" მაისის თვის ამბები დეტალურად ამცნობს მკითხველს - ავტონომიისათვის დაწყებულ ფართო მოძრაობას". 1917 წლის მაისის თვეში უკრაინაში გამართულ მასწავლებელთა, ჯარისკაცთა, მხედართა, გლეხთა ყრილობებს, რომელთა მთავარი მიზანი იყო უკრაინელთა გაერთიანება ავტონომიის მოსაპოვებლად (14 მაისი).

რუბრიკით ,,ეროვნული საკითხი - უკრაინა“ - 13 აპრილის ნომერში (გვ.2) გამოქვეყნებულია მიმოხილვითი სტატია კიევის სოციალისტ-რევოლუციონერთა კრების შესახებ. აღნიშნულია, რომ უკრაინის ავტონომია დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს. ამისათვის საჭიროა უკრაინის რადამ მოიწვიოს ტერიტორიული კრება, რომელიც განიხილავს ახალ მთავრობასთან დამოკიდებულებას. კრებამ გადაწყვიტა ავტონომიას მხარი დაუჭიროს იმ შემთხვევაში, თუ იგი დაიცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს. ასევე გადაწყვიტეს, მოგერიებითი ომი გაგრძელებულიყო იქამდე, ვიდრე ცენტრალური სახელმწიფოები ხელს არ აიღებენ უკრაინის ანექსიაზე.

უკრაინელთა კონგრესზე არჩეულ იქნა ცენტრალური რადა, რომელიც 4 პუნქტს განახორციელებდა: უკრაინის ავტონომიას, რუსეთის მოწყობას ფედერაციულ საფუძველზე, ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკას და უზრუნველყოფდა ეროვნებათა უფლებას. რადას დაევალა, ხელი შუწყონ ეროვნებებს, რომლებიც მოითხოვენ ნაციონალურ- ტერიტორიულ ავტონომიას, ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველზე.

უკრაინის პოლიტიკური და სახალხო მოძრაობების ავანსცენაზე, მოვლენათა კვალდაკვალ, ცალკეულ საგაზეთო მასალებში, ჩნდებიან იმ პერიოდის ლიდერები: უკრაინის ცენტრალური რადის თავმჯდომარე მიხეილ გრუშევსკი, პუბლიცისტები ვლადიმერ ვინიჩენკო და სერგეი ეფრემოვი, უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მეთაური სიმონ პეტლიურა, დონის კაზაკთა კონტრევოლუციის მეთაური ალექსეი კალედინი, ჰეტმანი პავლე სკოროპადსკი და სხვ.

უკრაინის ამბების პარალელურად, პერიოდულად ქვეყნდება საქართველოს უკრაინისადმი სოლიდარობის ამსახველი პუბლიკაციები: მაგ., პუბლიკაციით ,,უკრაინელთა კრება“ გაზეთი იუწყება, რომ 9 აპრილს თბილისში, ხარფუხის კლუბში, გაიმართა უკრაინელთა კრება. კრებას მიესალმნენ ქართველ მხედრობათა კავშირის წარმომადგენლები. დაარსდა უკრაინელთა საზოგადოება, წაიკითხეს საზოგადოების პროექტი და წესდება. მისალმება გაუგზავნეს უკრაინის გამოჩენილ მოღვაწეებსა და ცალკეულ ორგანიზაციებს. შესრულდა ნაციონალური ჰიმნი -ტარას შევჩენკოს ,,აღთქმა“ (გაზეთი ,,საქართველო“, 1917, 11 აპრილი, გვ.3).

გაზეთის ინტერესი, უკრაინის მოვლენების მიმართ, მხოლოდ ახალი ამბების გაშუქებით არ ამოიწურება, მაგალითად, პუბლიცისტისა და პედაგოგის კირილე ჯავახიას (ფსევდონიმი - სტუმარი) ,,წერილი უკრაინიდან“ (1917, #85) ასევე, ,,წერილები უკრაინიდან“, - ,,Vвільна україна - თავისუფლება უკრაინას!“ (გაზეთი ,,საქართველო“, 1917,# 96-97), რომელიც ეძღვნება უკრაინის ეროვნულ კონგრესს. ეს რეპორტაჟული ფერადოვანი სტილის პუბლიკაცია მკითხველს ცხოველმყოფლად განაცდევინებს უმნიშვნელოვანეს მოვლენას, ქმნის ე.წ. დასწრების ეფექტს.

უკრაინის რთული წინააღმდეგობრივი პროცესები - ნოემბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე- როგორც აღვნიშნეთ, სხვა ჟანრებითა და კონოტაციით შუქდება . ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მოვლენათა გაშუქება უფრო მოვლენური, კონკრეტულია და ლაკონიურ თხრობას ეფუძნება. პარალელურად წარმოჩენილია ბოლშევიზმის, როგორც სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მაძიებელი ქვეყნებისთვის, საერთო საფრთხის არსი, რაც ზოგადად, გამოცემის პუბლიცისტური დისკურსის მთავარი მახასიათებელია. საგაზეთო პუბლიკაციები ცოცხლად, დინამიურად ასახავს უკრაინაში მიმდინარე რუსი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის პერიპეტიებს, ცალკეული შეტაკებების სურათებს. ყურადღება გამახვილებულია უკრაინელთა შეუპოვრობაზე, თავგანწირვაზე, სიმამაცესა და საბრძოლო უნარებზე. საპირწონედ გამოკვეთილია - ბოლშევიკების თავზეხელაღებულობა, დაუნდობლობა, სისასტიკე. აღნიშნული თემა გაშუქდა, მაგალითად, შემდეგი პუბლიკაციებით: ,,უკრაინა-ბრძოლა კიევთან“, ,,ლუცკის აღება“, ,,ბოლშევიკების სამზადისი“, ,,ბრძოლა ხერსონის გუბერნიაში“ (საქართველო, 1918, 4 იანვარი, გვ,2) და სხვა მასალებით.

როგორც ცნობილია, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულების შედეგად საბჭოთა რუსეთი გადიოდა პირველი მსოფლიო ომიდან და ანტანტის ბლოკიდან. უკრაინა, ბელარუსის დასავლეთ ნაწილსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ერთად გადაეცა გერმანიას. ამ მოვლენის კვალდაკვალ საგაზეთო მასალებში ასახულია გერმანიის არმიის მიერ უკრაინის ოკუპაცია. 1918 წლის 28 აპრილს გერმანიის სარდლობის მიერ კიევში ცენტრალური

რადას წევრების დაპატიმრება, ხოლო 29 აპრილს ჰეტმან პავლე სკოროპადსკის ძალაუფლების დამტკიცების ამბები. აღნიშნულ მოვლენებს ეძღვნება პუბლიკაციები: ,,უკრაინის საგეტმანოში", ,,სახელმწიფოებრივი ცვლილება უკრაინაში", ,,გენერალ ეიხბორნის ბრძანება" (საქართველო, 1918, #101, #108), ,,გეტმანის მთავრობის ცნობა" (საქართველო, 1918, #101) და სხვ,

გაზეთ ,,საქართველოს" 31 მაისის ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომის ანგარიში, სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. საქართველოს დამოუკიდებლობას ულოცავენ სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნების წარმომადგენლები, მათ შორის უკრაინის რესპუბლიკიდან ხიმენკო, რომელმაც მიულოცა ქართველ ხალხს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოცხადება და თავის მისასალმებელ სიტყვაში ყურადღება გაამახვილა უკრაინისა და საქართველოსათვის მოსალოდნელ საერთო საფრთხეზე. -,, ამ მძიმე მომენტში, როდესაც მრისხანე შავი ღრუბლები შემოსწოლიან ჩემსა და თქვენს სამშობლოს, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ უკრაინა, როგორც ძველად ხელიხელს ჩაკიდებული, ეხლაც თქვენთან ერთად ივლის. ვიმეორებ, ამ მძიმე წუთებში იგი არ დატოვებს იმ დიდებულ ხალხს, ვისთანაც საუკუნეობით მხოლოდ ერთ სიყვარულს და ძმურს დამოკიდებულებას განიცდიდა. გაუმარჯოს დიდებულს, თავისუფალს საქართველოს!" (საქართველო, 1918, 31მაისი, გვ.2).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გაზეთი ,,საქართველო" აქტიურად აღარ აშუქებს უკრაინის ამბებს, ვინაიდან წინა პლანზე თავად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და საფრთხეები ინაცვლებს.

დასკვნა

ამგვარად, საკვლევის მასალის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ გაზეთ ,,საქართველოს“ სარედაქციო პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო რუსეთის იმპერიაში მყოფი ქვეყნებისა და ერების სუვერენიტეტის იდეის მხარდაჭერა. ამ პოლიტიკას ემსახურება 1917-1918 წლებში უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ინტენსიურად გაშუქება - როგორც საინფორმაციო, ისე ანალიტიკურ ფორმატში. კვლევის შედეგად გამოიკვეთა მთავარი ტენდენცია - საქართველოსა და უკრაინის ეროვნული ინტერესების თანხვედრა, რაც განაპირობებული იყო ქვეყნების, ხალხების მსგავსი კოლონიური მდგომარეობითა და საერთო მიზნით - ეს იყო ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, რაც, ცხადია, ხალხებს შორის ბადებდა ურთიერთსოლიდარობასა და თანაგანცდას. ამ მთავარ მიზანს ემსახურება პუბლიკაციები უკრაინის თემაზე.

გაზეთში ოპერატიულად აისახა უკრაინაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. პუბლიცისტურ ტექსტებში, წამყვანი პუბლიცისტების მიერ, თემები გაანალიზებულია სიღრმისეულად. გამოცემა მხარს უჭერს უკრაინის ავტონომიის იდეას და ყველა აქტუალურ პრობლემას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვების კონტექსტში განიხილავს, რაც მისი სარედაქციო სტრატეგიის მთავარი მახასიათებელია. საგაზეთო პუბლიცისტური სტატიები გამოირჩევა ანალიტიკური სიღრმითა და რაციონალური ანალიზით, რომელიც მოიცავს ისტორიული და თანადროული მოვლენების შესახებ კონტექსტურ ცოდნას. სტატიები ხასიათდება მრავალპლანიანი გააზრებით, მკვეთრი პუბლიცისტური აქცენტებითა და მიზანდასახულობით.

ახალი ამბების მნიშვნელოვანი მახასიათებლებია: ინფორმაციულობა, ოპერატიულობა, ფაქტობრიობა, თემათა სიმრავლე, ფართო გეოგრაფიული არეალი. ჟანრობრივი მრავალფეროვნება გამოხატულია ისეთი ფორმებით, როგორებიცაა: ახალი ამბავი, მიმოხილვა, რეპორტაჟი, პუბლიცისტური სტატია, პრესის მიმოხილვა.

გაზეთ ,,საქართველოს“ 1917-1918 წლების პუბლიკაციებში წარმოჩენილ მოვლენათა და პრობლემათა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზით დასტურდება, რომ აღნიშნულმა პროცესებმა დიდწილად განსაზღვრა უკრაინაში განვითარებული შემდგომი მოვლენები და ქვეყნის პოლიტიკური სტატუსი. ამდენად, მოცემული რაკურსით საკითხის შესწავლა პრობლემის გენეზისის გააზრებას და ამჟამინდელი ტენდენციების ანალიზსაც უწყობს ხელს, რითაც შესაძლებელია საკვლევი საკითხის თანამედროვე რეცეფცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Гоцуляк В.(2017) Сучасні інтерпретації історіографії української революції 1917-1921 рр., კრებულში ,, Вісник Черкаського університету. Серія : Історичні науки,-2017.-#1
განთავსებულია 10 მაისიდან, 2017 [ონ-ლაინ ტექსტი]

მის.: http://www.irbis-nbuv.gov.ua/cgi-bin/irbis_nbuv/cgiirbis_64.exe?I21DBN=LINK&P21DBN=UJRN&Z21ID=&S21REF=10&S21CNR=20&S21STN=1&S21FMT=ASP_meta&C21COM=S&2_S21P03=FILA=&2_S21STR=VchuI_2017_1_3

Королев Г. Академічний дискурс дослідження історії Української революції 1917–1921 років (90-ті р. XX ст. – початок XXI ст.) / Г. Корольов // Історіографічні дослідження в Україні: Зб. наук. пр. – 2012.

მის.: http://dspace.nbuv.gov.ua/bitstream/handle/123456789/40025/20-Korolev.pdf

კრებულში, Роосия –Украина: история взаимоотношений, Москва 1997[ონ-ლაინ სტატია]

მის.: http://litopys.org.ua/vzaimo/vz15.htm

Солдатенко, В. 2031. Україна: революційна доба й наступні десятиліття: історико-історіографічні есе. Київ. ІПіЕНД ім. І. Ф. Кураса НАН України.
მის.: https://ipiend.gov.ua/wp-content/uploads/2020/11/soldatenko_ukraina.pdf
Snyder, T. 2017, the "Revolutionary Ukraine: A Reflection on 1917 and Its Aftermath" Conference (October 13-15 2017) [ონ-ლაინ ტექსტი]

მის.: https://www.iwm.at/blog/ukrainian-history-as-world-history-1917-2017

მალი, ე (1917), ბუნდოვანი მომავალი, გაზ. საქართველო, 9 აპრილი.

გომართელი, ი.(1917), საქართველოს ტერიტორიული ავტონომია, გაზ.საქართველო, 6. აპრილი.

ქიქოძე, გ.(1917). უკრაინა და საქართველო. გაზ. საქართველო, 21 აპრილი.

ინგილო, რ. (1917), უკრაინის უნივერსალი, გაზ. საქართველო, 29 ივნისი.